გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ქობულეთის შემოვლითი გზის 4-ზოლიან მაგისტრალად მოდერნიზაციის პროექტი

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის მოდერნიზაცია და ექსპლუატაცია

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: სსდ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ოზურგეთის და ქობულეთის მუნიციპალიტეტები

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვების დრო და ადგილი:

- **2026 წლის 21 იანვარი, 14:00 საათი,** ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა
- **2026 წლის 21 იანვარი, 17:00 საათი,** ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ხუცუბნის საჯარო სკოლის შენობა
- **2026 წლის 22 იანვარი, 12:00 საათი,** ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ციხისძირის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა
- **2026 წლის 22 იანვარი, 15:00 საათი,** ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ბობოყვათის საჯარო სკოლის შენობა
- **2026 წლის 23 იანვარი, 12:00 საათი,** ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. საჩინოს საჯარო სკოლის შენობა
- **2026 წლის 23 იანვარი, 15:00 საათი,** ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვის N1 საჯარო სკოლის შენობა

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ გზშ-ის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარმოადგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში **2026 წლის 6 თებერვლის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნების/მოსაზრებების ელფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს (დავით აღმაშენებლის გამზ. N150, 0112, თბილისი; ელფოსტა: eia@mepa.gov.ge, ტელ.: +995 32 2439503/+995 32 2439510).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან დარეგისტრირდა 2025 წლის 1 დეკემბერს. აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 85-ე დღისა და არაუგვიანეს 90-ე დღისა სააგენტო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ, ხოლო ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

პროექტის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე: https://ei.gov.ge/. პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/b3e4bbf2-3323-42e4-b4b7-851799173862.